



დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა

დებულების პროექტზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა პრემირების შესახებ“

დამოუკიდებელი ექსპერტი *ლევან ალაფიშვილი*

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი განეკუთვნება იმ დაწესებულებათა კატეგორიას, რომელში სამსახურიც ითვლება საჯარო (სახელმწიფო) სამსახურად, შესაბამისად ამ ურთიერთობებზე ვრცელდება ზემოაღნიშნული კანონი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი რიგ საკითხებში ტოვებს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას (მაგ.: მოსამსახურე სამსახურში აიყვანოს კონკურსის წესით თუ მის გარეშე, განსაზღვროს საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული ვაკანსიისათვის, განსაზღვროს გასამრჯელოს ოდენობა და სხვა), მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში კანონი დეტალურად არეგულირებს საჯარო სამსახურთან დაკავშირებულ არსებით ურთიერთობებს. სწორედ აღნიშნული უნდა იქნეს გათვალისწინებული დებულების შემუშავებისას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის (მე-2 წინადადება) შესაბამისად: „მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს“. ამავე კანონის 74-ე მუხლის პირველი პუნქტით კი განსაზღვრულია წახალისების ფორმების ამომწურავი ჩამონათვალი: ა) მადლობის გამოცხადება, ბ) ერთდროული ფულადი ჯილდო, გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, დ) თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლება. ამდენად, პრემია არ წარმოადგენს წახალისების ფორმას, იგი განეკუთვნება შრომითი გასამრჯელოს კატეგორიას. კანონის აღნიშნული მუხლებით დადგენილი წესი კი სხვა ნორმატიული ან ადმინისტრაციული აქტით ვერ შეიცვლება – ამდენად დებულების პროექტი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ამ მუხლებთან.

დებულებით შესაძლებელია განისაზღვროს მხოლოდ და მხოლოდ დაწესებულების შიგნით პრემირების ან წახალისების (ერთ-ერთი ან ორივე ერთად უნდა გადაწყვიტოს დაწესებულებამ) საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურები.

გაურკვეველია დებულების მე-2 მუხლით მოცემული „განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულება“-ს და „სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშოდ შესრულება“-ს განმარტებები. აქ ჩამოთვლილი ყველა საკითხი საკანონმდებლო ორგანოს აპარატის მოხელის ჩვეულებრივ სამსახურებრივ ვალდებულებას განეკუთვნება და ამ ვალდებულების შესრულებისთვის იგი იღებს გასამრჯელოს (მაგ.: კანონპროექტის შედგენა ან მასზე დასკვნის მომზადება), ამდენად გაურკვეველი რჩება საკითხი: მოხელე მისი ვალდებულების შესრულებისათვის იღებს გასამრჯელოსაც და ექვემდებარება წახალისებასაც?

ნორმატიულ აქტში მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს ამა თუ იმ საკითხის სუბიექტური განმარტების შესაძლებლობა, რასაც მრავლად ვხვდებით წარმოდგენილი დებულების პროექტში. მაგ.: მუხლი 3.1.-ში აღნიშნულია, რომ პრემია გაიცემა „უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში წარმატების მიღწევისათვის“ - ვინ და როგორ უნდა შეაფასოს უმაღლესი საბჭოს საქმიანობა წარმატებულია თუ არა ან ამ საქმიანობაში მოხელის მონაწილეობა წარმატებულია თუ არა. მუხლი 5.6. „ე“-ს მიხედვით კრიტერიუმად განსაზღვრულია „მისწრაფება თვითგანათლებისაკენ, კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ“ და სხვა იურიდიული ლიტერატურის შესწავლისადმი – საინტერესოა რა კრიტერიუმებით დადგინდება აღნიშნული? თუკი მოხელე ყოველ დღე ამბობს რომ უნდა უფრო კვალიფიციური იყოს ეს ჩაითვლება თუ არა „მისწრაფებად კვალიფიკაციის ამაღლებისადმი“ და ამის გამო დაექვემდებარება თუ არა წახალისებას ან პრემირებას?

დებულებაში მოცემული პროცედურები მაქსიმალურად უნდა გამოირიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტის შესაძლებლობას, რაცაც ვერ ვხვდებით დებულების პროექტში. მხედველობაში გვაქვს კომისიის ფორმირება და პრემირების ინიცირება. კომისია იქმნება აპარატის მოხელეთაგან რომლებმაც უნდა მიიღონ გადაწყვეტილება (ა) საკუთარი და (ბ) მათზე ზემდგომი თანამდებობის პირების წახალისების თუ პრემირების შესახებ – აღნიშნული კი ერთმნიშვნელოვანი ინტერესთა კონფლიქტია, რომლის დაძლევის საშუალება და მექანიზმი დებულების პროექტით მოცემული არ არის.

და ბოლოს დებულებით ვერ დარეგულირდება ე.წ. „დეპრემირების“ წესი და საფუძვლები, რამეთუ სამართალს რომ თავი დავანებოთ ელემენტარული ლოგიკაა, რომ თუკი გაქვს უფლება მიიღო გადაწყვეტილება რაიმე საკითხზე, ეს ნიშნავს, რომ გაქვს უფლება მიიღო როგორც დადებითი ასევე უარყოფითი გადაწყვეტილება, ამასთან თუკი მიიღებ ერთი სახის გადაწყვეტილებას ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ უარი თქვი მეორე გადაწყვეტილების მიღებაზე – ანუ თუკი კონკრეტულ თანამდებობის პირს კანონით (და არა დებულებით) მინიჭებული აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მოხელის წახალისების შესახებ და იგი ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს (ცალკე აქტით კი არ იტყვის, რომ არ დაექვემდებაროს წახალისებას, არამედ ამ აქტს საერთოდ არ გამოსცემს) ეს ნიშნავს, რომ მოხელის მიმართ არ იქნა გამოყენებული წახალისების ღონისძიება.

ეს გახლავთ ის არსებითი საკითხები, რომელთა გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში სახეზე იქნება კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება - ადმინისტრაციული ან ნორმატიული აქტი.